შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლა

სოციალური უნარების განვითარება მცირეკონტიგენტიან კლასებში

ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელ
ფატი ჭაღალიძის

პედაგოგიური პრაქტიკის
კვლევის ანგარიში

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

1. შესავალი 3

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ 4

1.2 საკითხის აქტუალობა 4

1.3 პრობლემის გამომწვევი მიზეზები 5

1.4 კვლევის მიზანი 5

2. ლიტერატურის მიმოხილვა 6

3. კვლევის გეგმა 8

3.1 საკვლევი კითხვები 10

3.2 სამიზნე ჯგუფი 10

3.3 კვლევის მეთოდები 11

4. მონაცემთა ანალიზი 12

4.1 სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი 12

4.2 მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი 16

5. ძირითადი დასკვნები და მიგნებები 16

6. ინტერვენცია 17

6.1 ინტერვენციის გზების მოძიება 17

6.2 პრაქტიკული სამუშო 17

6.3 ინტერვენციის შედეგები 18

7. დასკვნა 19

8. ბიბლიოგრაფია 20
9. დანართები 21
დანართი 1 21
დანართი 2 24
10. რეფლექსია 27

1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლაში 2018-2019 სასწავლო წელში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევაში განხილულია სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობა და სხვადასხვა გზები მცირეკონტიგენიტან სკოლებში ამ პროცესის ხელშესაწყობად.

„სოციალური უნარ-ჩვევები არის იმ უნარ-ჩვევათა კრებული, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა თანაარსებობას. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას საფუძვლად უდევს სოციალური შემეცნება. ეს არის ადამიანის ცოდნა მეორე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის აზრების, გრძნობების და განზრახვების შესახებ. სოციალურ შემეცნებას აქვს უდიდესი ზეგავლენა იმაზე, თუ როგორი მიმართება ჩამოუყალიბდება ბავშვს სხვა ბავშვებისა და უფროსებისადმი; როგორ განუვითარდება მას სხვისი პატივისცემის და ურთიერთგაგების ჩვევები.

სოციალურ უნარ-ჩვევებში განიხილავენ : პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, სხვის პატივისცემას, თანამშრომლობას, კონფლიქტის გადაჭრას, ჯგუფში გადაწყვეტილების მიღებას, ჯგუფში როლების მრავალფეროვნების მიღებას“. (განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, გვ. 13)

იქიდან გამომდინარე რომ, მე თვითონ აღმოვჩნდი მსგავსი გამოწვევის წინაშე - შუახევის რაიონ სოფ. ბრილის საჯარო სკოლის მერვე და მეთორმეტე კლასში მყავს მხოლოდ თითო მოსწავლე, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს, გადავწყვიტე ამ თემაზე გამეკეთებინა კვლევა. ბუნებრივია, მეტად რთულია ასეთ კლასებში ჯგუფური სამუშაოების, დისკუსიების, პრეზენტაციების

ჩატარება, სხვადასხვა საკითხის განხილვა. ასეთ შემთხვევებში მოსწავლეს არ აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის საშუალება, რაც ეხმარება მოზარდს განავითაროს საჭირო უნარები.

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ

შუახევის რაიონ სოფელ ბრილის საჯარო სკოლაში 28 მოსწავლეა სწავლობს.სკოლაში 18 პედაგოგი ემსახურება მოსწავლეთა აღზრდას, აქედან ერთი წამყვანი მასწავლებელია, 6 უფროსი.

კლასებში მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა 1 – 3.

სკოლა განთავსებულია ერთ სართულზე ხის შენობაში. აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერების ოთახი. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის სამი მასწავლებელი აქედან ორი სერთიფიცირებულია და ერთი პრაქტიკოსი.

სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეები, ვღებულობთ სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობას და ვაღწევთ წარმატებებს.

1.2 საკითხის აქტუალობა

მოზარდებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება ამზადებს მათ ცხოვრების ყველა ასპექტში ჯანსაღი მონაწილეობისთვის. სოციალური უნარები საზოგადოებაში ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. კარგი მანერები, სხვებთან ეფექტური კომუნიკაცია, პრეზენტაბელურობა, სხვისი გრძნობების გათვალისწინება და პიროვნული საჭიროებების გამოხატვა მყარი სოციალური უნარების ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებაში ბავშვებს სხვადასხვა ეტაპზე ეხმარება სხვადასხვა განვითარების სტრატეგიები. ზოგი ბავშვი, ისევე როგორც ბევრი ზრდასრული ადამიანი, ბუნებრივად უფრო მეტად

სოციალურად აქტიურია, ვიდრე სხვები. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იზიდავენ სხვებს და რომელთათვისაც ადვილია მეგობრების შეძენა. მაგრამ არიან ნაკლებად სოციალურად აქტიური ბავშვებიც. თუმცა ნებისმიერი სხვა უნარის მსგავსად, სოციალური უნარების შეძენა და განვითარება შესაძლებელია, მთავარია ამაში ხელი შეუწყოს გარემომ და საზოგადოებამ, ეს კი უფრო მეტ ჩართულობას და მეტ ხალხთან ურთიერთობას გულისხმობს, ეს კი განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენს მცირეკონტიგენტიან სკოლებსა და კლასებში, რომლის გამოცდილებაც, როგორც უკვე შესავალში აღვნიშნე მე თვითონ მაქვს სოფ. ბრილის საჯარო სკოლიდან.

1.3 პრობლემის გამომწვევი მიზეზები

პრობლემის გამომწვევი უპირველესი მიზეზი არის მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია. სკოლებში სადაც 7-8 წლის წინ სწავლობდა დაახლოებით 100-120 მოსწავლე, ამჟამად მხოლოდ 30-40 მოსწავლეა, არის შემთხვევები როცა კლასი იხურება კონტიგენტის არ არსებობის გამო.

ასევე, ხშირად მთიან სოფლებს არ აქვთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რაც უფრო მეტად ხელს უშლის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას მოზარდებში. მაშინ როცა სკოლამდელი ასაკის ბავშვს არ ჰქონია შეხება სასწავლო გარემოში სხვა ბავშვებთან და ამ დანაკლისის შევსება უნდა მოხდეს სკოლაში, ის ხშირად მარტო ზის კლასში და არ ეძლევა საშუალება წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობის უნარების გამომუშავებისა.

1.4 კვლევის მიზანი

ხაზი გაუსვას სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობას, გამოავლინოს არის თუ არა სოციალური უნარების განვითარების პრობლემა უფრო

მეტად აქტუალური მცირეკონტიგენტიან სკოლებში. თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით არსებული პრობლემის მოგვარების გზების მოძიება, გაზიარება კოლეგებისთვის და მათგან რჩევების და მოსაზრებების მიღება.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ერთ - ერთი სოციალური ექსპერტი, ახალგაზრდული ჯგუფის (FACE2FACE) თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი მარგარეტ არსენალო ამბობს - „იმისათვის რომ გახდე საუკეთესო სოციალური ჯგუფების ნაწილი აუცილებელია კარგი სოციალური უნარები". თუმცა მისივე თქმით დღესდღეობით მოზარდთა უმეტესობა მეტად დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე და ნაკლებად აქვთ სოციალური ურთიერთობები, რაც ხელს უშლის მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას და იწვევს დეპრესიას. (1 https://upjourney.com/why-are-social-skills-important)

„სოციალური უნარ-ჩვევები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევებია, რასაც ბავშვები და მოზარდები ავითარებენ, რადგან ისინი ხშირად მომავალი წარმატების საწინდარია" - ამბობს ფსიქოლოგიის დოქტორი მონიკა ლეიქი. (2 https://www.goodtherapy.org/blog/importance-of-social-skills-raising-socially-intelligent-child-0102184)

პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩაატარეს კვლევა, შედეგების მიხედვით კი ის ზრდასრულები რომლებიც გამოირჩეოდნენ ბაღში პროსოციალური თვისებებით უმეტესობას დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი, დასაქმებულნი იყვნენ უკეთესად და ნაკლები იყო ნასამართლეობის შემთხვევა ნაკლებად პროსოციალური ხასიათის მქონე პირებთან შედარებით. კვლევაში ჩართული ერთ-ერთი მეცნიერი დეიმონ ჯონსი აღნიშნავს - „კარგი ამბავი ის არის რომ სოციალური და ემოციური უნარების გაუმჯობესება შესაძლებელია, რაც ნიშნავს რომ შეგვიძლია

ეს კომპეტენციები ეფექტურად ადრეულ ასაკშივე დავარეგულიროთ“ (3 https://news.psu.edu/story/364050/2015/07/28/research/early-prosocial-behavior-good-predictor-kids-future)

მრავალი ინტერვენციის კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სოციალური და ემოციური სწავლის უნარ-ჩვევები შეიძლება გაუმჯობესდეს ბავშვობაში და მოზარდობის პერიოდში, ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია მასწავლებლმა ხელი შეუწყოს და შეეუქმნას მოსწავლეს ისეთი პირობები სადაც მოზარდი შეძლებს განივითაროს საზოგადოებასთან ურთერთობების უნარები და მოემზადოს მომავალი ცხოვრების უკეთესად წარმართვისთვის. ამ პირობების შექმნა კი მცირეკონტიგენტიან სკოლებში (განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში) უფრო მეტ ძალისხმევას და განსხვავებულ ზომებს მოითხოვს.

„სოციალური უნარები თანდაყოლილი არ არის, მათ განვითარებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. სკოლამ, მასწავლებელმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ მათ განვითარებასა და ცხოვრებაში მათი გაცნობიერებულად გამოყენების უნარის გამომუშავებაში.

თანამშრომლობითი სწავლებისთვის აუცილებელია ოთხი ტიპის ჩვევა, რომლებიც სხვადასხვა სირთულისაა:

1. ჩვევები, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენს ქცევის უმარტივეს წესებს. უამისოდ თანამშრომლობასა და ქმედით ჯგუფზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება;

2. ჩვევები, რომლებიც აუცილებელია მუშაობის პროცესში ჯგუფის ყველა წევრის აქტიურად ჩასართავად და მათ შორის ნაყოფიერი სამუშაო ურთიერთობის შესანარჩუნებლად;

3. ცოდნის შეძენისადმი შეგნებული, მოტივირებული დამოკიდებულების ჩვევები;

4. ჩვევები, რომლებიც ცოდნისადმი შემოქმედებით და კრიტიკულ მიდგომას განაპირობებს. მათ მიეკუთვნება ლოგიკური აზროვნებისა და ინტელექტუალური კონფლიქტების მოგვარების, დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და სხვადასხვა თვალსაზრისში რაციონალური მარცვლის პოვნის უნარები“.

პროფ. სოფიკო ლობჟანიძე - „სოციალური უნარების განვითარება მოსწავლეებში“

3. კვლევის გეგმა

დღესდღეობით სოიცალური უნარების განვითარება მოზარდებში და ბავშვებში გავრცელებული პრობლემაა, ისინი უფრო მეტად დამოკიდებულნი არიან თანამედროვე ტქენოლოგიებზე, კომპიუტერულ თამაშებზე, ნაკლებად ინტერაქტიულები არიან, თუმცა თანამედროვე სასკოლო სასწავლო გეგმა ცდილობს გაითვალისწინოს და იზრუნოს ამ პრობლემაზეც, რასაც ასე თუ ისე ემსახურება სამოქალაქო განათლება, პრეზენტაციების მომზადება და აუდიტორიის წინაშე წარდგენა, ჯგუფური მუშაობა და დებატები კლასში, თუმცა არსებობს კლასები, სადაც მხოლოდ თითო ან ორი ბავშია, რაც მე თვითონ გამომიცდია პრაქტიკაში, როგორც მასწავლებელს, ასეთ დროს კი ვფიქრობ რომ უფრო რთულია სოციალური უნარ-ჩვევები განავითაროს მოსწავლემ, განსაკუთრებით მაშინ თუ მას ეს უნარები დაბადებიდან პასიურად აქვს. თუმცა ამ თეორიის პრაქტიკულად დამტკიცებისთვის ჩავატარე გამოკითხვა. გამოკითხვას უნდა ეჩვენებინა კორელაცია დაწყებით კლასებში თანაკლასელთა რაოდენობას, კლასში აქტიურობასა და შემდგომში განვითარებულ სოციალურ უნარ-ჩვევებს შორის. გამომდინარე იქიდან რომ გრძელი და დამღლელი გამოკითხვა ზრდის პასუხების ზერელედ და არაზუსტად გაცემის ალბათობას კითხვარი შედგებოდა მხოლოდ რამდენიმე ქვემოთ ჩამოწერილი კითხვარისგან:

1. რამდენი მოსწავლე იყო თქვენს კლასში

   ა) 1-2 ბ) 3-5 გ) 5-ზე მეტი

2. რამდენად ხშირად გქონდათ დისკუსიები გაკვეთილის მსვლელობისას

   ა) საერთოდ არ გვქონია ბ) თვეში ერთ-ორჯერ გ) კვირაში ორ-სამჯერ

3. გამოთქვამთ თუ არა თქვენს საკუთარ მოსაზრებას საზოგადოებაში

   ა) უმეტესად თავს ვიკავებ ბ) ყოველთვის გამოვთქვამ

4. ხართ თუ არა უცხო ადამიანების გაცნობის ინიციატორი

   ა) არასდროს ბ) ხანდახან ბ) ძალიან ხშირად

5. შეგიძლიათ თუ არა თავისუფლად ისაუბროთ ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე

   ა) არა, ვნერვიულობ

   ბ) ვნერვიულობ, მაგრამ ვცდილობ ეს დავძლიო და უმეტესად გამომდის

   გ) უმეტესად არ ვნერვიულობ და თავდაჯერებულად ვსაუბრობ

გარდა ამისა, ინტერვენციების შემდეგ ჩავატარე ზეპირი გასაუბრება მასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ჩემს მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ სამუშაოში მონაწილე მოსწავლეებს. გასაუბრების ძირითადი მიზანი იყო ინტერვენციის ეფექტურობის დადგენა და შესაბამისად ძირითად კითხვებს წარმოადგენდა:

1. გახდა თუ არა კონკრეტული მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობაში მეტად ჩართული.
2. შეიმჩნეოდა თუ არა სხვაობა მოსწავლის მეტყველების კულტურაში.

3. ხედავდა თუ არა მასწავლებელი მეტ თავდაჯერებულობას პროექტში მონაწილე მოსწავლეში.

3.1 საკვლევი კითხვები

მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა საკვლევი კითხვები:

1. რამდენად უწყობს ხელს მრავალფეროვანი გარემო მოზარდის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას.
2. რამდენად პრობლემურია ამ უნარების განვითარება მცირეკონტიგენტიან კლასებში
3. ახდენს თუ არა გავლენას მოზარდებში სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვა პიროვნების თავდაჯერებულობაზე ზრდასრულ ასაკში
4. რა გზებით უნდა შეუწყოს მასწავლებელმა ხელი მოზარდის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას მცირეკონტიგენტიან სკოლებსა თუ კლასებში.
5. არის თუ არა არჩეული ინტერვენციის გზები ეფექტური
6. არის თუ არა დადებითი შედეგები.

3.2 სამიზნე ჯგუფი

კლასებში მოსწავლეების რაოდენობასა და შემდგომში მათ სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას შორის კავშირის გამოსავლენად, პრობლემის დიაგნოსტირებისთვის ჩატარდა გამოკითხვა. სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტში სწავლის დაწყების გამო მოუწიათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და ახალ ხალხთან და გარემოსთან შეგუება. სტუდენტების ნაწილი სწავლობდა მცირეკონტიგენტიან კლასებში, უმეტესად მაღალმთიან სოფელში სადაც ნაკლებად ან საერთოდ არ უტარდებოდა საკლასო

დისკუსიები და სხვადასხვა აქტივობები, ნაწილი კი უფრო მრავალრიცხოვანში სადაც საკლასო აქტიურობა უფრო მეტი იყო.

მეორე სამიზნე ჯგუფს წარმოდგენდნენ მოსწავლეები რომლებზეც განხორციელდა ინტერვენცია, მიიღეს სხვადასხვა პროექტსა და აქტივობაში მონაწილეობა. მათზე დაკვირვებას უნდა ეჩვენებინა ინტერვენციის არჩეული გზების მართებულობა.

მოსწავლეებზე დაკვირვებაში კი დახმარება გამიწიეს მასწავლებლებმა რომლებსაც ყოველდღიური შეხება ჰქონდათ და ასწავლიდნენ არჩეულ მოსწავლეებს. მათ თავიანთი დაკვირვებების შედეგები და მოსაზრებები ზეპირსიტყვიერად გაგვიზიარეს.

3.3 კვლევის მეთოდები

პრობლემის დადგენისთვის და სტუდენტების გამოკითხვისთვის ეფექტურად მივიჩნიე და კვლევის მეთოდად გამოვიყენე კითხვარი თავისი სავარაუდო პასუხებით, რადგანაც სავარაუდო პასუხები აადვილებს გამოკითხულისთვის კითხვის არსის ზუსტად გაგებას და პასუხის გაცემას, ჩემთვის კი როგორც მკვლევარისთვის უფრო მარტივი და ზუსტია ამ სახის მონაცემების დამუშავება და გაანალიზება. როგორც უკვე აღვნიშნე, კითხვარი შედგება მხოლოდ რამდენიმე კითხვისგან რომელიც სტუდენტებს მიეწოდა ონლაინ გამოკითხვის სახით.

ინტერვენციის ეფექტურობის დასადგენად კი გავესაუბრე მასწავლებლებს. ინტერვენციის შედეგების ანალიზისთვის უფრო შესაფერისად ჩავთვალე გავსაუბრებოდი მასწავლებლებს სა დამესვა მათთვის არა დახურული არამედ ღია კითხვები.

4. მონაცემთა ანალიზი

4.1 სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი

ონლაინ გამოკითხვის ანალიზმა აჩვენა შემდეგი შედეგები:







გამოკითხულთა 53% სწავლობდა კლასში სადაც მარტო იყო ან მხოლოდ ერთი თანაკლასელი ჰყავდა (შევეცადე შემერჩია ის სტუდენტები რომელთა სასკოლო განათლებაზე უკვე მქონდა გარკვეული ინფორმაცია) მათგან კი 82%-ს საერთოდ არ ან თვეში ერთ-ორჯერ უტარდებოდა საკლასო დისკუსიები. მოსწავლეებს ის ნაწილი კი, რომლებიც კლასში 5-ზე მეტნი იყვნენ 83% აცხადებს რომ კვირაში ორ-სამჯერ ან თვეში ერთ ორჯერ მაინც ჰქონდა კლაში სხვადასხვა თემებზე ჯგუფური მსჯელობა (დისკუსია). შედეგი აჩვენებს რომ კლასში მოზარდების რაოდენობა გავლენას ახდენს საკლასო დისკუსიების რაოდენობაზე.







აღმოჩნდა რომ სტუდენტების დიდი ნაწილი (63%), რომელიც კლასში მარტო იყო ან ერთი თანაკლასელი ჰყავდა, უმეტესად თავს იკავებს საზოგადოებაში საკუთარი აზრის გამოთქმისგან. იმ სტუდენტების უმრავლესობა (76%) კი რომლებიც უფრო მრავალკონტიგენტიან კლასებში სწავლობდა, როგორც წესი, აზრის გამოთქმისგან თავს არ იკავებს.







ასევე ნაკლებად კონტაქტურები და იშვიათად არიან გაცნობის ინიციატორები სტუდენტების პირველი ნაწილი (მცირეკონტიგენტიან კლასში აღზრდილები), მათგან

25% არასდროს, 44% კი ხანდახან გამოთქვამს გაცნობის ინიციატივას. ეს მაჩვენებლები კი სტუდენტების მეორე ნაწილში (უფრო მრავალრიცხოვან კლასებში აღზრდილები) განსხვავებულია, მათგან მხოლოდ 8%-ს არასდროს გამოუთქვამს გაცნობის ინიციატივა, 40% კი ძალიან ხშირად აკეთებს ამას.







და ბოლოს, როგორც ვხედავთ, ასევე ნაკლებად სოციალურობაზე მიუთითებს ბოლო მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც კლასში სოციალურად ნაკლებად აქტიურად აღზრდილი სტუდენტები, ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან და უჭირთ

პრეზენტაციებით ან სიტყვით გამოსვლა საზოგადოების წინაშე. იმ სტუდენტთა 53%-ს, რომელიც ამბობს რომ კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე იყო, ან მხოლოდ ერთი თანაკლასელი ჰყავდა, არ შეუძლიათ დაძლიონ ნერვიულობა და თავისუფლად გამოვიდნენ სიტყვით აუდიტორიის წინაშე, მათგან მხოლოდ 47% ახერხებს ამას. თუმცა სოციალურად აქტიურ კლასში აღზრდილი სტუდენტების მხოლოდ 28%-ს აქვს ეს პრობლემა, დანარჩენი 72% კი ან საერთოდ არ ნერვიულობს ან შეუძლია დაძლიოს ეს კომპლექსი.

4.2 მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი

ინტერვენციის შედეგების განსაზღვრისთვის ჩატარებული მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები გაცილებით კომუნიკაბელური და პრეზენტაბელური გახდნენ, დახვეწეს მეტყველება და შეიძნეს თანამშრომლობითი მუშაობის უნარ-ჩვევები.

5. ძირითადი დასკვნები და მიგნებები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ზემოთ აღნიშნული თეორიული მოსაზრების მართებულობა, რომ კლასში მოსწავლეთა სიმცირე ხელს უშლის მოზარდის აქტიურობას, რაც შემდეგში აისახება მისი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ეს კი თავის მხრივ გავლენას ახდენს პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე, წარმატებაზე, კომუნიკაბელურობაზე, შემდგომში ბედნიერებაზეც კი - როგორც უკვე აღვნიშნეთ პასიური და კომპიუტერულ ტექნოოგიებზე დამოკიდებულები ხშირად დეპრესიულები არიან.

6. ინტერვენცია

6.1 ინტერვენციის გზების მოძიება

ინტერვენციისთვის, რა თქმა უნდა საჭიროა პრობლემის სრულყოფილად გააზრება და შემდგომ მისი მოგვარების გზების ძიება. ამ პროცესში დახმარება გამიწია პროფ. სოფიკო ლობჟანიძის ნაშრომმა:

„სოციალური უნარები მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით შეიძლება განვუვითაროთ. თანამშრომლობით ჯგუფებში მოსწავლეები მხოლოდ სასკოლო პროგრამაში შემავალ სხვადასხვა დისციპლინას კი არ სწავლობენ, არამედ ინტერპერსონალური ურთიერთობის ჩვევებსაც ეუფლებიან. სოციალური ჩვევების სწავლება აკადემიური წარმატების აუცილებელი პირობაა: რაც უფრო უკეთ ფლობენ მოსწავლეები სწავლაში ერთმანეთის დახმარების ხელოვნებას, მით უკეთესია მათი მოსწრება. მაშასადამე, სოციალური ჩვევების ფორმირება ხდება თანამშრომლობით სიტუაციებში, სადაც დავალება ერთად არის შესასრულებელი“.

აქედან გამომდინარე გადავწყვიტე ისეთი პროექტის მომზადება სადაც მოსწავლეებს უნდა ემუშავათ ჯგუფში.

6.2 პრაქტიკული სამუშო

რადგან კლასში შეუძლებელი იყო ჯგუფური და წყვილური მუშაობის ჩატარება, ამ აქტივობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის მოვამზადე პროექტი, რომელიც მოსწავლესთვისაც საინტერესო იქნებოდადა ასაკობრივი ბარიერიც არ შეუშლიდა ხელს.

- ✓ სკოლაში სხვადასხვა კლასის (VII, IX, XI კლასები) მოსწავლეებს მივეცი დავალება ჯგუფურად მოემზადებინათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების

მიმოხილვა და ისტორიულ-კულტურულ ჭრილში გაევლოთ პარალელები საქართველოსთან.

- ✓ პრეზენტაციის მომზადების პროცესში ვაკვირდებოდი მათ თანამსრომლობას და ვაძლევდი რჩევებს.
- ✓ მომზადებული პროექტი გავაგზავნე რესურსცენტრში, ვთხოვე შუამდგომლობა გაეწიათ მუნიციპალიტეტების სხვა სკოლებთან და გადაეგზავნათ ჩემი პროექტი სკოლებისთვის (პირველ ეტაპზე თითოეული სკოლა წარმოადგენდა ერთ ევროკავშირის ქვეყანას, მეორე ეტაპზე კი მონაწილეობდა სულ 5 სკოლა და თითო სკოლა წარმოადგენდა 5-6 ევროკავშირის ქვეყანას), უმეტესად შერჩეული იქნა მცირეკონტიგენტიანი სკოლები.
- ✓ თითოეულ სკოლაში ვკონტაქტობდი ხელმძღვანელ მასწავლებელთან და ვთხოვდი ორგანიზება გაეწია და დახმარებოდა მოსწავლეებს ჯგუფურ ან წყვილურ მუშაობაში.
- ✓ რესურსცენტრსა და სკოლის დირექტორებთან შეთანხმებით ჩავნიშნეთ პროექტის ჩატარების დღე
- ✓ პროექტში მონაწილე მოსწავლეთა ჯგუფებმა წარადგინეს პრეზენტაციები.
- ✓ პირველ წელს პროექტი ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში მეორე წელს ხაბელაშვილების სკოლის ბაზაზე.

6.3 ინტერვენციის შედეგები

ინტერვენციის შედეგების გამოსავლენად ჩავატარე ჩაღრმავებული ინტერვიუ (ზეპირი გამოკითხვა) მასწავლებლებთან და დავუსვი ის ძირითადი კითხვები რაც განსაზღვრულია ზემოთ აღწერილ კვლევის გეგმაში. ინტერვიუს ანილიზისას გამოიკვეთა დადებითი შედეგები: მასწავლებლების უმრავლესობამ განაცხადა რომ ის მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტში გაკვეთილის მსვლელობისას

უფრო მეტად აქტიურები და თავდაჯერებულები გახდნენ და მათ მეტყველების კულტურაშიც იგრძნობოდა დადებითი შედეგები.

7. დასკვნა

სოციალური უნარ-ჩვევები ერთ-ერთი მნისვნელოვანი წინაპირობაა პიროვნების მომავალი წარმატებული ცხოვრებისთვის და გარდა იმისა რომ ეს უნარები შეიძლება იყოს თანდაყოლილი, ასევე შესაძლებელია მათი განვითარება ადრეული ასაკიდან. ძირითადად ამის ხელშეწყობა ხდება კლასში ჯგუფური აქტივობების საშუალებით ამის განხორციელება კი მცირეკონტიგენტიან სკოლებში გაცილებით რთულია, რასაც გვიჩვენებს კვლევის პირველი ნაწილი - სტუდენტების ონლაინ გამოკითხვა.

კვლევის მეორე ნაწილი ემსახურება ინტერვენციის გზების ძიებასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას, სადაც ძირითად გზად არჩეული იქინა ჯგუფური აქტივობების ჩატარება. კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა პროექტი 28 სკოლის მიერ (თითო სკოლა წარმოადგენდა თითო ქვეყანას), მეორე ეტაპზე კი ჩართული იყო 5 სკოლა (თითოეულმა სკოლამ წარადგინა 5 ევროკავშირის ქვეყანა). პროექტი ჯერ მომზადდა კლასებს შორის, შემდეგ კი მოხდა მისი სხვა სკოლის მოსწავლეების წინაშე პრეზენტცია.

შერულებული კვლევის მესამე ნაწილი კი ემსახურება ინტეერვენციის შედეგების ანალიზს, რომელმაც აჩვენა დადებითი შედეგები - ჯგუფური აქტივობები ხელს უწყობს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას.

ამგვარად, მასწავლებლებმა უნდა მოიძიონ სხვადასხვა გზები, უზრუნველყონ მოსწავლეების გააქტიურება, მათში საჭირო უნარ ჩვევების განვითარება და მათ მომავალ წარმატებაში წვლილის შეტანა.

8. ბიბლიოგრაფია

ა) „განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის“ გვ. 13. თეა ბერძენიშვილი; შორენა საძაგლიშვილი.
http://ncp.ge/files/sasargeblo%20resursebi/wignebi/leqsikoni_pirveli%20nawili.pdf

ბ) „სოციალური უნარების განვითარება მოსწავლეებში“. სოფიკო ლობჟანიძე, 2012 წ.

http://mastsavlebeli.ge/?p=2453

გ) https://upjourney.com/why-are-social-skills-important

დ) https://www.goodtherapy.org/blog/importance-of-social-skills-raising-socially-intelligent-child-0102184

ე) https://news.psu.edu/story/364050/2015/07/28/research/early-prosocial-behavior-good-predictor-kids-future

9. დანართები

დანართი 1

პროექტის სახელწოდება - „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“

პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები - პროექტი „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ მიზნად ისახავს, რომ სკოლის მოსწავლეებმა გაათვიცნობიერონ ევროკავშირის როლი და ევროპული ღირებულებები და თავიანთი ხედვით წარმოადგინონ პრეზენტაციები ევროკავშირის წვერი ქვეყნების, ევროპული კულტურისა და ისტორიის შესახებ. ისტორიულ ჭრილში აჩვენონ საქართველოსა და ევროპასთან უძველესი ურთიერთობის ფორმები და ის გზა, რა გზასაც საქართველო გადის დღეს ევროპულ გზაზე. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გააკეთებენ პრეზენტაციას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ, წარმოადგენენ კონკრეტული წევრი ქვეყნისთვის დამახასიათებელ ატრიბუტიკას (დროშა, გერბი ,ჰიმნი , ნაციონალური კერძები და სხვ).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ, თუ რა გზა გაიარეს ევროკავშირის წევრობამდე, როგორ ცხოვრობენ დღეს და რა სტანდარტებს ამკვიდრებენ სახელმწიფოში, ასევე გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს და საკუთარი თვალით ნახავენ იმ მითებს, რომელიც არსებობს ევროკავშირის და ზოგადად ევროპის ირგვლივ.

პროექტის მნიშვნელობა - აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი უფრო დეტალურად შეისწავლიან ევროკავშირს და დაამსხვრევენ იმ მითებსა თუ დეზინფორმაციას, რომელიც გავრცელებულია საზოგადოებაში. პროექტი ასევე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ევროკავშირის და ევროპის შესახებ ხშირად არის არასწორი წარმოდგენები და დამოკიდებულებები და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფი ამ მხრივ არის მაღალმთიანი რეგიონები და მათ შორის აჭარის მაღალმთიანეთი. გამომდინარე იქედან, რომ სოფლებში არ არის ინტერნეტთან წვდომის საშუალება, არის სწორი ინფორმაციის მიწოდების პრობლემები, ამიტომ

ცნობიერების ამაღლების კუთხით ეს პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფორმირებას. მოტივაციას მისცემს მომავალ თაობას იზრუნოს იმ სტანდარტების დამკვიდრებაზე, რომელიც ევროკავშირისთვისაა დამახასიათებელი.

პროექტის აღწერა და განხორციელება

პროექტი „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ განხორციელება დავიწყეთ 2018 წლის 22 მაისს, როცა ევროპის დღეების ფარგლებში შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ადგილობრივ რესურცენტრის დახმარებით ჩავატარეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ პრეზენტაცია, სადაც მონაწილე სკოლებმა წარმოადგინეს ევროკავშირის თითოეული ქვეყნის შესახებ პრეზენტაცია. პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას ქვეყნის კულტურის, ისტორიის, ტრადიციების შესახებ, ასევე ევროკავშირთან ურთიერთობის ფორმებსა და გზებს . თითოეული ქვეყნის წარმოდგენის დროს სკოლის მოსწავლეებმა გამოიყენეს და აჩვენეს ნაციონალური ატრიბუტიკა , კერძები, რომელი ქვეყნის წარმდგენიც იყვნენ.

ღონისძიების დასასრულს გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში:

- ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყანა- გაიმარჯვა დაბა შუახევის საჯარო სკოლამ, წარმოდგენილი პრეზენტაციით ,,ლუქსემბურგი“ ;

-ყველაზე პატარა მონაწილე - ,,ავსტრია“ - ცხემლისის საჯარო სკოლა;

- ყველაზე ორიგინალური და კარგად წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის დაჯილდოვდნენ:

მახალაკიძეების, დღვანის, ტბეთის, ინწკირვეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები;

„ყველაზე კრეატიული“ - დაჯილდოვდნენ ინწკირვეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები. საუკეთესო პრეზენტატორებს გადაეცათ საჩუქრები და მერიის დაფინანსებით ყველა მონაწილე „შეიცან საქართველოს“ ფარგლებში გაემგზავრა 2 დღიან ტურზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტში ჩართული იყო 28 სკოლა (თითო სკოლიდან წარმოდგენილი იყო ხუთი მოსწავლე) ,პროექტის მასშტაბმა გამიჩინა ინტერესი და

სურვილი, რომ აღნიშნული პროექტი გაგრძელებულიყო იმ სოფლებში და სკოლებში, რომლებიც არ იყვნენ ჩართულები ამ პროექტში.

შემდეგ ეტაპზე უკვე აღნიშნული პროექტი გადავიტანეთ შუახევის მუნიციპალიტეტის წყალსაყრის თემში. 4 აპრილს, ბრილის საჯარო სკოლაში, აღინიშნა ნატოს საიუბილეო თარიღი და მოსწავლეებმა ასევე წარმოადგინეს პრეზენტაციები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. მოსწავლეებთან გვქონდა საუბარი ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებზე , მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. გვქონდა საუბარი პროექტის მნიშვნელობაზე თუ რა სარგებელს და საშუალებას გვაძლევს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავება. მოსწავლეებმა ასევე წარმოადგინეს პრეზენტაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ .

პროექტის განხორციელებაში დახმარებას მიწევდა და მიწევს შუახევის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც პროექტის ფარგლებში იყო ფინანსური მხარდამჭერი. სკოლებთან ურთიერთობის და კოორდინაციის კუთხით მეხმარებოდა შუახევის რესურსცენტრი. მნიშვნელოვანია ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის „მაღალმთიანი აჭარის ახალგაზრდული კავშირი“-ს მხარდაჭერა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოსწავლეებთან ისაუბრეს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.

შედეგების ანალიზი

პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა რომ პროექტში ჩართული იყო 28 სკოლა (თითო სკოლიდან წარმოდგენილი იყო ხუთი მოსწავლე), რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული პროექტის განხორციელებაში.

ჩემთვის, როგორც მასწავლებისთვის აღნიშნულ პროექტზე მუშაობა ერთგვარი გამოწვევა იყო, რადგან სწორად უნდა მიმეწოდებინა მოსწავლეებისთვის და სკოლებისთვის იდეა, რათა არ დარღვეულიყო პროექტის შინაარსი . პროექტზე მუშაობის დროს დამჭირდა ბევრი ინფორაციის მოძიება, დამუშავება, მიწოდების ფორმების შერჩევა და სხვ, რომელიც მნიშვნელოვნად დამეხმარა პროექტის წარმართვის დროს.

პროექტის რესურსები - პროექტზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის წყაროები :

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი ;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ - გვერდი ;

Dcfta.gov.ge – თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან ;

ვიკიპედია;

საინფორმაციო ბროშურები ევროკავშირის შესახებ

სხვა მხარეებთან თანამშრომლობა - პროექტის განხორციელებაში აქტიურად გვიდგას გვერდში შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, როგორც შუამავალი ჩვენსა და სკოლას შორის. გვეხმარება სკოლასთან კომუნიკაციის დამყარებაში და გვიწყობს ხელს ჩვენი იდეის მიწოდებაში.

მეორე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი არის შუახევის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, რომელთა დახმარებითაც ჩატარდა პირველი მასშტაბური პრეზენტაცია დაბა შუახევის სააქტო დარბაზში და მონაწილეობა მიიღო შუახევის მუნიციპალიტეტის 28 საჯარო სკოლამ. მერიის ფინანსური ხელშეწყობით ყველა მონაწილე სკოლა და პრეზენტატორი ბავშვები დაჯილდოვდნენ წიგნებითა და სიგელებით და „შეიცან საქართველოს“ ფარგლებში თითოეული მონაწილე გაემგზავრა 2 დღიანი ტურით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

დანართი 2

პროექტის სახელწოდება - ,,ერთად უფრო ძლიერი ვართ“

პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები - პროექტი ,,ერთად უფრო ძლიერი ვართ“ მიზნად ისახავს, რომ სკოლის მოსწავლეებმა გაათვიცნობიერონ ევროკავშირის როლი და ევროპული ღირებულებები და თავიანთი ხედვით წარმოადგინონ პრეზენტაციები

ევროკავშირის წვერი ქვეყნების, ევროპული კულტურისა და ისტორიის შესახებ. ისტორიულ ჭრილში აჩვენონ საქართველოსა და ევროპასთან უძველესი ურთიერთობის ფორმები და ის გზა, რა გზასაც საქართველო გადის დღეს ევროპულ გზაზე. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გააკეთებენ პრეზენტაციას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ, წარმოადგენენ კონკრეტული წევრი ქვეყნისთვის დამახასიათებელ ატრიბუტიკას (დროშა, გერბი ,ჰიმნი , ნაციონალური კერძები და სხვ).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლეები მიღებენ ინფორმაციას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ, თუ რა გზა გაიარეს ევროკავშირის წევრობამდე, როგორ ცხოვრობენ დღეს და რა სტანდარტებს ამკვიდრებენ სახელმწიფოში, ასევე გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს და საკუთარი თვალით ნახავენ იმ მითებს, რომელიც არსებობს ევროკავშირის და ზოგადად ევროპის ირგვლივ.

პროექტის მნიშვნელობა - აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი უფრო დეტალურად შეისწავლიან ევროკავშირს და დაამსხვრევენ იმ მითებსა თუ დეზინფორმაციას, რომელიც გავრცელებულია საზოგადოებაში. პროექტი ასევე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ევროკავშირის და ევროპის შესახებ ხშირად არის არასწორი წარმოდგენები და დამოკიდებულებები და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფი ამ მხრივ არის მაღალმთიანი რეგიონები და მათ შორის აჭარის მაღალმთიანეთი. გამომდინარე იქედან, რომ სოფლებში არ არის ინტერნეტთან წვდომის საშუალება, არის სწორი ინფორმაციის მიწოდების პრობლემები, ამიტომ ცნობიერების ამაღლების კუთხით ეს პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფორმირებას. მოტივაციას მისცემს მომავალ თაობას იზრუნოს იმ სტანდარტების დამკვიდრებაზე, რომელიც ევროკავშირისთვისაა დამახასიათებელი.

პროექტის აღწერა და განხორციელება - პროექტი ,,ერთად უფრო ძლიერი ვართ“ განხორციელება დავიწყეთ 2019 წლის 16 მაისს, ევროპის დღეების ფარგლებში. მოვიწვიეთ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულო და ადგილობრივ რესურცენტრი. აგრეთვე გვესწრებოდა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი მთიან აჭარაში სალომე აბულაძე. ჩავატარეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ პრეზენტაცია, სადაც მონაწილე სკოლებმა წარმოადგინეს ევროკავშირის თითოეული ქვეყნის შესახებ

პრეზენტაცია. პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას ქვეყნის კულტურის, ისტორიის, ტრადიციების შესახებ, ასევე ევროკავშირთან ურთიერთობის ფორმებსა და გზებს . თითოეული ქვეყნის წარმოდგენის დროს სკოლის მოსწავლეებმა გამოიყენეს და აჩვენეს ნაციონალური ატრიბუტიკა , კერძები.

შედეგების ანალიზი

პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა რომ პროექტში ჩართული იყო 5 სკოლა (თითო სკოლიდან წარმოდგენილი იყო ხუთი მოსწავლე), რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული პროექტის განხორციელებაში.

ჩემთვის, როგორც მასწავლებისთვის აღნიშნულ პროექტზე მუშაობა ერთგვარი გამოწვევა იყო, რადგან სწორად უნდა მიმეწოდებინა მოსწავლეებისთვის და სკოლებისთვის იდეა, რათა არ დარღვეულიყო პროექტის შინაარსი . პროექტზე მუშაობის დროს დამჭირდა ბევრი ინფორაციის მოძიება, დამუშავება, მიწოდების ფორმების შერჩევა და სხვ, რომელიც მნიშვნელოვნად დამეხმარა პროექტის წარმართვის დროს.

პროექტის რესურსები - პროექტზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის წყაროები :

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი ;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ - გვერდი ;

Dcfta.gov.ge – თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან ;

ვიკიპედია;

საინფორმაციო ბროშურები ევროკავშირის შესახებ

სხვა მხარეებთან თანამშრომლობა - პროექტის განხორციელებაში აქტიურად გვიდგას გვერდში შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, როგორც შუამავალი ჩვენსა და სკოლას შორის. გვეხმარება სკოლასთან კომუნიკაციის დამყარებაში და გვიწყობს ხელს ჩვენი იდეის მიწოდებაში.

10. რეფლექსია

ბრილის საჯარო სკოლაში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, სოციალური უნარების განვითარება მცირეკონტიგენტიან კლასებში. პრობლემა ბოლო წლებში მეტად აქტუალური გახდა მას შემდეგ , რაც ინტენსიურად დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია. კლასში ხშირად ერთი ან ორი მოსწავლე გვყავს. მოგეხსენებათ მოსწავლეში სოციალური უნარების განსავითარებლად აუცილებელია ჯგუფური და წყვილური მუშაობა, რაც გაკვეთილის მსვლელობისას შეუძლებელი გახდა. სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარე შევიმუშავე გეგმა, მოვიძიე პრობლემის გადაჭრის მეთოდები და დავისახე პრობლემის გადაჭრის გზები.

გამოვიყენე კვლევის სხვადასხვა მეთოდი: დაკვირვება, თვითდაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ანკეტირება, ამ მეთოების გამოყენებით დავადგინე, რომ მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ურთიერთობები, პრეზენტაციების წარდგენა, კრიტიკული აზრის დაფიქსირება.

მივხდი, რომ საჭირო იყო ისეთი ინტერვენციების დასახვა, რომლების მოსწავლეებს განუვითარებდა სოციალურ უნარ - ჩვევებს და ჩვევად ჩამოუყალიბებდა მათ გამოყენებას.

ლიტერატურული მეთოდების მოძევისას მივხდი, რომ სოციალური უნარ - ჩვევების განსავითარებლათ საჭირო იყო მოსწავლეთა ჯგუფებში მუშაობა. ასაკობრივი ბარიერი რომ არ შემქმნოდა შევარჩიე თემა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, რათა შემძლებოდა მათი დაჯგუფება. მუშაობისას ვაკვირდებოდი მოსწავლეთა პასიურობას და აქტიურობას. პრობლემას თავადაც აღიარებდნენ და ცდილობდნენ ამ პროექტზე მუშაობისას უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინათ თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

კვლევა განვიხილე კათედრაზე, კოლეგემა დადებითი შეფასება მომცეს და აღნიშნეს, რომ თვითონაც გამიყენებებენ პრაქტიკაში მსგავს ინტერვენციებს, რადგან ერთიანი ძალისხმევით გაცილებით მეტად შეიძენენ მოსწავლეები სოციალური უნარ - ჩვევებს.

კვლევის პროცესში პრობლემები არ შემქმნია, მოსწავლეთა აქტივობა მაღალი იყო, რადგან მათი სურვილი და ინტერესები გათვალისწინებული იყო.